

# ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №19/22

2017 წლის 21 აგვისტო

ქ. ფოთი

### საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1

აკრძალულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მასალის (შემდგომში – საარჩევნო პლაკატი) გავრცელება:

ა) საკულტო შენობა-ნაგებობებზე (სასაფლაოს ტერიტორია, ეკლესია და სხვა), კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე (დანართი №1), ასევე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში;

ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ყველა საგზაო ნიშანზე.

#### მუხლი 2

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატის გასაკრავად განთავსდეს სპეციალური სტენდები (შემდგომში – სტენდი) დანართი №2-ით განსაზღვრულ ადგილებზე.

#### მუხლი 3

ამ დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას არაუმეტეს 1 (ერთი) ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით არაუმეტეს: სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ (A2 ფორმატი).

#### მუხლი 4

საარჩევნო პლაკატები ასევე შეიძლება განთავსდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე გარე განათების ბოძებზე, მგზავრთა მოსაცდელეებში და სამშენებლო ტერიტორიების შემომსაზღვრელ დროებით ღობეებზე.

#### მუხლი 5

ამ დადგენილების პირველი, მე-2 და მე-4 მუხლების გათვალისწინებით საარჩევნო პლაკატები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში, თუ ამით არ უარესდება საგზაო ნიშნების, მაჩვენებლებისა და საავტომობილო გზის ხილვადობა, აგრეთვე საფრთხე არ ემუქრება ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

#### მუხლი 6

გამოყოფილი ადგილები და განთავსების პირობები ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის თანაბარია.

#### მუხლი 7

შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.

#### მუხლი 8

ამ დადგენილების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

#### მუხლი 9

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ფოთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

აკაკი დარჯანია



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, სადაც აკრძალულია საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მასალის გაკვრა

№	მისამართი/ადგილმდებარეობა	ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა
1	დავით აღმაშენებლის ქუჩა №2	საცხოვრებელი სახლი
2	დავით აღმაშენებლის ქუჩა № 3	საცხოვრებელი სახლი
3	დავით აღმაშენებლის ქუჩა № 5	საცხოვრებელი სახლი
4	დავით აღმაშენებლის ქუჩა №6	საცხოვრებელი სახლი
5	დავით აღმაშენებლის ქუჩა №7	საცხოვრებელი სახლი
6	დავით აღმაშენებლის ქუჩა №9	საცხოვრებელი სახლი
7	დავით აღმაშენებლის ქუჩა №17	საცხოვრებელი სახლი
8	დავით აღმაშენებლის ქუჩა №18	სკოლა „ ბალავარი“
9	დავით აღმაშენებლის ქუჩა №19	საცხოვრებელი სახლი
10	დავით აღმაშენებლის ქუჩა №23	საცხოვრებელი სახლი
11	დავით აღმაშენებლის ქუჩა №24	საცხოვრებელი სახლი
12	დავით აღმაშენებლის ქუჩა №26	საცხოვრებელი სახლი
13	დავით აღმაშენებლის ქუჩა №29	სტომატოლოგიური პოლიკლინიკა
14	დავით აღმაშენებლის ქუჩა №31	საცხოვრებელი სახლი
15	დავით აღმაშენებლის ქუჩა №32	საცხოვრებელი სახლი
16	დავით აღმაშენებლის ქუჩა №33	საცხოვრებელი სახლი
17	დავით აღმაშენებლის ქუჩა №34	ნავსადგურის ადმინისტრაციული შენობა
18	დავით აღმაშენებლის ქუჩა № 36	სატვირთო რკინიგზის შენობა
19	დავით აღმაშენებლის ქუჩა №37	საცხოვრებელი სახლი
20	დავით აღმაშენებლის ქუჩა № 39	მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი
21	დავით აღმაშენებლის ქუჩა №43	ყოფილი ტელეკომპანია „ფაზისი“
22	დავით აღმაშენებლის ქუჩა №51	ყოფილი სახელმწიფო უშიშროების შენობა
23	დავით აღმაშენებლის ქუჩა №53	ყოფილი მეზღვაურთა სახლი
24	დავით აღმაშენებლის ქუჩა №55	საცხოვრებელი სახლი
25	დავით აღმაშენებლის ქუჩა №57	საცხოვრებელი სახლი
26	გამსახურდიას ქუჩა №4	ხელოვნების სასწავლებელი
27	წმინდა გიორგის ქუჩა №11	ყოფილი მეთევზეთა კოოპერატივი
28	წმინდა გიორგის ქუჩა №23	ქალთა კონსულტაცია



29	წმინდა გიორგის ქუჩა №24	ჰიდროტექნიკუმის შენობა
30	ვ.გეგვიძის ქუჩა №17	საცხოვრებელი სახლი
31	ვ. გეგვიძის ქუჩა № 19	საცხოვრებელი სახლი
32	გურიის ქუჩა № 1	ფოთის ეპარქიის სამმართველო
33	გურიის ქუჩა №3	წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია
34	დიმიტრი თავდადებულის ქუჩა № 83	ფოთის შუქურა
35	ვახტანგ გორგასლის ქუჩა №24	ნაგებობა საცხოვრებელი სახლის ეზოში
36	ვახტანგ გორგასლის ქუჩა №37	რესურს ცენტრი (ყოფ.მე-5 საშ. სკოლა)
37	თამარ მეფის ქუჩა №17	სამხატვრო სკოლა
38	იერუსალიმის ქუჩა №12	საცხოვრებელი სახლი
39	იერუსალიმის ქუჩა	სინაგოგა
40	ძუკუ ლოლუას ქუჩა №2	საცხოვრებელი სახლი
41	ძუკუ ლოლუას ქუჩა №3	საცხოვრებელი სახლი
42	26 მაისის ქუჩა №4	საცხოვრებელი სახლი
43	26 მაისის ქუჩა №9	ქალაქ ფოთის ისტორიის მუზეუმი
44	26 მაისის ქუჩა №35	ყოფ. პოლიციის შენობა
45	კ. მიქაბერიძის ქუჩა №3	სამშობიარო სახლი
46	ნავსადგურის 1-ლი რაიონის შესასვლელი	ფოთის ნავსადგურის კლუბი
47	ნინო ჟვანიას ქუჩა №7	II გიმნაზია
48	ნინო ჟვანიას ქუჩა №12	საცხოვრებელი სახლი
49	რუსთაველის რკალი №1	ბავშვთა ბიბლიოთეკა
50	რუსთაველის რკალი № 3	ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძარი
51	რუსთაველის რკალი №5	ნიკო ნიკოლაძის კოშკი (ძველი ციხე)
52	რუსთაველის რკალი № 10	კულტურის სახლი
53	რუსთაველის რკალი №12	საცხოვრებელი სახლი
54	რუსთაველის რკალი №14	საცხოვრებელი სახლი
55	რუსთაველის რკალი №16	რესტორანი ოდეონი
56	რუსთაველის რკალი № 18	საცხოვრებელი სახლი
57	რუსთაველის რკალი №20	საცხოვრებელი სახლი
58	რუსთაველის რკალი №24	ადმინისტრაციული შენობა
59	ვ. კრატასიუკის ქუჩა №1 (ყოფ. რუხაძის ქუჩა №1)	№12 საჯარო სკოლა



60	აკ. წერთლის ქუჩა №28	№ 3 საჯარო სკოლა
61	აკ. წერთლის ქუჩა №44	პირველი გიმნაზია
62	აკ. წერთლის ქუჩა №65	სამედიცინო სასწავლებელი
63	აკ. წერთლის ქუჩა №126	სამხედრო ჰოსპიტალი
64	აკ. წერთლის ქუჩა №108	საცხოვრებელი სახლი
65	გიორგი ჭანტურიას ქუჩა №3	ადმინისტრაციული შენობა
66	გიორგი ჭანტურიას ქუჩა №5	ყრუ-მუნჯთა სახლი

დანართი №2

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატის გასაკრავად სპეციალური სტენდების განთავსებისათვის განსაზღვრული ადგილები და სტენდების რაოდენობა**

1. შოთა რუსთაველის რკალი – 3 ცალი;
2. დავით აღმაშენებლის ქუჩა – 4 ცალი;
3. მერაბ კოსტავას ქუჩა – 1 ცალი;
4. შოთა მეგრელიშვილის სანაპირო – 1 ცალი;
5. ვალერი გეგიძის ქუჩა – 2 ცალი;
6. კონსტანტინე რეკვავას ქუჩა – 1 ცალი;
7. სამეგრელოს ქუჩა – 2 ცალი;
8. რკინიგზის მოედანი – 1 ცალი;
9. ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა - 1 ცალი;
10. აკაკი წერთლის ქუჩა – 1 ცალი;
11. გურიის ქუჩა – 3 ცალი;
12. ახალი რაიონი 1 ცალი;
13. 8 მარტის ქუჩა – 1 ცალი;
14. ლარნაკას ქუჩა – 2 ცალი;
15. კოკაიას ხეივანი – 1 ცალი;
16. 9 აპრილის ხეივანი - 2 ცალი;
17. ნიკო ნიკოლაძის სანაპირო – 2 ცალი;
18. ვახტანგ გორგასლის ქუჩა – 2 ცალი;
19. ეგნატე ნინოშვილის ქუჩა – 1 ცალი;
20. თამარ მეფის ქუჩა – 1 ცალი;
21. ბერდიანსკის ქუჩა – 1 ცალი;
22. იუსტიციის სახლის მიმდებარედ – 2 ცალი;
23. სამეგრელოს მოედანი – 1 ცალი;
24. დემეტრე თავდადებულის ქუჩა – 1 ცალი;
25. გელა ჯიქიას ქუჩა – 1 ცალი;
26. ნელი არზიანის ქუჩა – 1 ცალი.

